ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11926021001**

თარიღი:**21/01/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის საჯარო მოსამსახურეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით, კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფა განხორციელდეს ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, შემდეგი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში:

ა) საკრებულოს თავმჯდომარეს - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს - 30 (ოცდაათი) ლარი;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს - 30 (ოცდაათი) ლარი;

დ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს საკრებულოს აპარატის უფროსს - 30 (ოცდაათი) ლარი;

ე) განყოფილების უფროსებს - 25 (ოცდახუთი) ლარი;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს - 20 (ოცი) ლარი;

ზ) საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;

თ) საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;

ი) სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;

კ) საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;

ლ) სამდივნო განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილეს (ჯ. აბულაძე).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 ნოემბრის #ბ119.119253082 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი